



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 8  
11/12/2017

8-06-4-201712111309



### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ავთანდილ გოლიაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
სამდივნო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მობილობის წესით გადაყვანის  
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-  
ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის,  
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 26 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის  
მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე  
მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის  
შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების,  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა  
შეფასების კომისიის 2017 წლის 1 ოქტომბრის N2 სხდომის ოქმის და ა.გოლიაძის 2017  
წლის 8 დეკემბრის N13 განცხადების (თანხმობის) საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ავთანდილ გოლიაძე მობილობის წესით გადაყვანილი იქნას 2017 წელს  
გაუქმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო  
განყოფილების უფროსის მეორე რანგის თანამდებობიდან, ოზურგეთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მეორე რანგის  
თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1050  
(ათასორმოცდათი) ლარით.

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

